

შპს საქინვესტი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023
წლის 31 დეკემბერს

შპს საქინვესტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

<i>ქართულ ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	16,521,151	16,473,551
სხვა გრძელვადიანი აქტივები		5,488	3,388
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,526,639	16,476,939
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		99,656	99,656
გაცემული სესხები	4	1,724,453	1,644,732
სავაჭრო მოთხოვნები		271,532	300,458
ფული და ფულის ექვივალენტები		3,794,831	2,655,104
სულ მიმდინარე აქტივები		5,890,472	4,699,951
სულ აქტივები		22,417,112	21,176,889
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
დაუფარავი ზარალი		(16,033,518)	(19,068,914)
სულ კაპიტალი		(16,033,318)	(19,068,714)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხები	5	-	92,495
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		314,102	304,876
საგადასახადო ვალდებულება		75,782	70,714
აღებული სესხები	5	38,060,546	39,777,518
სულ ვალდებულებები		38,450,430	40,245,603
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,417,112	21,176,889

შპს საქინვესტი
მოგება - ზარალის ანგარიშგება

ქართულ ლარში	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი პირდაპირი საოპერაციო ხარჯები	6	6,411,736 (1,378,333)	5,981,563 (1,238,781)
საერთო მოგება		5,033,403	4,742,782
ზოგადი ადმინისტრაციული და გაყიდვის ხარჯები		(315,685)	(339,092)
რეალიზაციის და მიწოდების ხარჯი		(1,168)	-
სხვა ხარჯები და შემოსავალი, წმინდა		(25,576)	(257,994)
სულ საოპერაციო შემოსავალი		4,690,974	4,145,696
ფინანსური შემოსავალი ფინანსური ხარჯები		352,326 (2,007,904)	9,281,371 (1,764,720)
მოგება		3,035,396	11,662,348

შპს საქინვესტი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2021 წელი	200	(30,731,261)	(30,731,061)
წლის სრული მოგება	-	11,662,348	11,662,348
31 დეკემბერი, 2022 წელი	200	(19,068,914)	(19,068,714)
წლის სრული მოგება	-	3,035,396	3,035,396
31 დეკემბერი, 2023 წელი	200	(16,033,518)	(16,033,318)

შპს საქინვესტი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

<i>ქართულ ლარში</i>	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		8,387,732	7,809,771
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(1,172,039)	(1,230,117)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(576,187)	(497,304)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		6,639,506	6,082,350
გადახდილი პროცენტი		(38,876)	(90,892)
გადახდილი გადასახადები		(1,413,163)	(1,262,539)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა		5,187,467	4,728,919
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		209,236	306,693
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(633,269)	(277,387)
დაზღვევით მიღებული კომპენსაცია		85,567	-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(338,467)	29,306
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების გასაფარად გასული ფულადი სახსრები		(3,704,757)	(3,916,881)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, წმინდა		(3,704,757)	(3,916,881)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		(4,516)	(147,903)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		2,655,104	1,961,663
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		3,794,832	2,655,104

1. ზოგადი ინფორმაცია

„შპს საქინვესტი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა (205175004), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მაცივრებითა და სასაწყობე ფართებით მომსახურების გაწევა.

2019 წლის დასაწყისში კომპანიას შეერწყა შვილობილი - „შპს დიდუბის მარკეტი“ (401951777).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო.

კომპანიის იურიდიული მისამართი : საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რ. აგლაძის ქუჩა, N32 .

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგება.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/ 1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/ 1 ევრო	2.9753	2.8844

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი მომსახურების გაწევის შესაბამისად აღიარდება. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება სერვისის მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ცალკეულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

სასარგებლო გამოყენების ვადა	
შენობები	10-დან 50 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 30 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-დან 20 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავსნად ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

სასესხო ვალდებულებები. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიერ აღებულ სესხს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან. სესხი იფარება ყოველთვიური გრაფიკის მიხედვით.

3. ძირითადი საშუალებები

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ძირითადი საშუალებების მოძრაობას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში:

ქართულ ლარში	მიწა, შენობები, დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
დირეზულა 1 იანვარი 2022	21,586,553	909,889	46,554	193,924	22,736,920
დამატება	263,189	1,632	-	17,314	282,135
რეალიზაცია	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	21,849,742	911,520	46,554	211,238	23,019,055
დამატება	574,702	3,146	-	18,932	596,781
რეალიზაცია	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	22,424,444	914,667	46,554	230,170	23,615,836
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	(5,468,772)	(377,738)	(22,868)	(147,753)	(6,017,131)
ცვეთის ხარჯი	(501,517)	(20,933)	(1,079)	(4,843)	(528,372)
დაგროვილი ცვეთა რეალიზებულ აქტივებზე	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(5,970,289)	(398,671)	(23,947)	(152,596)	(6,545,504)
ცვეთის ხარჯი	(525,874)	(16,817)	(1,092)	(5,398)	(549,180)
დაგროვილი ცვეთა რეალიზებულ აქტივებზე	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(6,496,163)	(415,488)	(25,039)	(157,994)	(7,094,683)
საბალანსო დირეზულა					
31 დეკემბერი 2022	15,879,453	512,850	22,607	58,642	16,473,552
31 დეკემბერი 2023	15,928,281	499,179	21,515	72,176	16,521,153

შპს საქინვესტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

4. გაცემული სესხები

ქართულ ლარში	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე			
მეკავშირე მხარეები	14.50%	1,724,453	1,644,732
სულ გაცემული სესხები		1,724,453	1,644,732

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისათვის გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 79,721 ლარსა და 79,721 ლარს, შესაბამისად.

5. აღებული სესხები

ქართულ ლარში	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი			
არა-მეკავშირე მხარეები	12.50%	-	92,495
მიმდინარე			
არა-მეკავშირე მხარეები	12.50% – 15.00%	22,064,703	22,350,286
მეკავშირე მხარეები	15.00%	15,995,843	17,334,737
სულ აღებული სესხები		38,060,546	39,777,518

6. პირდაპირი საოპერაციო ხარჯები


ქართულ ლარში	2023	2022
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	549,180	528,372
პერსონალის ხარჯები	540,527	454,568
კომუნალური ხარჯები	215,674	175,076
რემონტის ხარჯები	58,854	66,067
დაზღვევის ხარჯი	13,148	13,139
სხვა ხარჯები	950	1,559
სულ პირდაპირი საოპერაციო ხარჯები	1,378,333	1,238,781

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

27 სექტემბერი, 2024

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

